ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №999128

ნომერი: AR1158066

თარიღი : 09.09.2013

გაცემის თარიღი : 15.11.2013

გაცნობის თარიღი : 16.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად ხაჩიძე პ/ნ 01009002508
- თბილისი, ნინო ჟვანიას ქუჩა, #2

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 448231
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 29.11.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზვიად ხაჩიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "Real Estate Construction"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401977928
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ქოჩიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022001326

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2332.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1365.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 9891.5
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 6277.4
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 962.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 475.1
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 977.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1199.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 45175.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 39721.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5454.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 31.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 27.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1 365,1 მ2; კ1=0,6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 8 969,1 მ2; კ2=3,8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 255 მ2; კ3=0,2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 703158
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.04.2013

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 703158
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.04.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1158066 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: მიუთითეთ სწორად - 05/24/2013.

2.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები -> .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : მიუთითეთ სწორად - 05/24/2013.

3.სატიტულო ინფორმაცია. -> .თანაავტორ(ებ)ის სახელი და გვარი.: ქვედა ველში მიუთითეთ ორგანიზაციის რეკვიზიტები.

4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: 6-5 ღერძებში და 10 ღერძზე განთავსებული აივნებით ირღვევა მიჯნის ზონა. აივნის კიდიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე მანძილი არ უნდა შეადგენდეს 1,80 მეტრზე ნაკლებს. საჭიროა წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის თანხმობა აივნების განთავსებასთან დაკავშირებით ან პროექტი მოიყვანოთ ნორმებთან შესაბამისობაში. ასევე მიჯნა ირღვევა დ-ა ღერძებში განთავსებული ტერასითა და ღიობებით. საჭიროა წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის თანხმობა ტერასისა და ღიობების განთავსებასთან დაკავშირებით ან პროექტო მოიყვანოთ ნორმებთან შესაბამისობაში.

5.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: ჭრილი 1-1, 0.00 ნიშნულზე მოიყვანეთ პროექტთან შესაბამისობაში. ასევე ჭრილი 3-3 მოიყვანეთ გეგმებთან შესაბამისობაში. გასათვალისწინებელია გეგმებში დადგენილი ხარვეზები.

6.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: გასათვალისწინებელია გეგმებში დადგენილი ხარვეზები.

7.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: საჭიროა ატვირთოთ მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით.

8.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.